

«მოთხოვნები მძღოლების (მრბოლელების) მიმართ» 2017 წლის სეზონი

შინაარსი

თავი 1. საავტომობილო რბოლებში მონაწილეობის მისაღებად სსსფ-ს მძღოლის ლიცენზიის გაცემის საერთო წესები

- 1.1) საერთო დებულებები
- 1.2) ლიცენზიების გაცემა
- 1.3) სხვა საავტომობილო ფედერაციების მიერ გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობა
- 1.4) მძღოლის ლიცენზიის კატეგორიები
- 1.5) საერთაშორისო ლიცენზიის გაცემის კრიტერიუმები
- 1.6) ნაციონალური ლიცენზიის გაცემის კრიტერიუმები
- 1.7) დაზღვევა
- 1.8) ლიცენზიის მოქმედების ვადა
- 1.9) ლიცენზიის ღირებულება
- 1.10) ლიცენზიის მოქმედება

თავი 2. მძღოლის სამედიცინო შემოწმების წესები

- 2.1) ყოველწლიური სამედიცინო შემოწმება
- 2.2) ავარიისა ან ავადმყოფობის შემდგომი სამედიცინო შემოწმება
- 2.3) სამედიცინო რეაბილიტაცია
- 2.4) დოპინგ კონტროლი
- 2.5) აპელაცია დოპინგ ტესტების დროს.
- 2.6) შეჯიბრებებისას სამედიცინო დათვალიერების გავლის წესები

თავი 3. მძღოლების ეკიპირება

- 3.1) ჩაფხუტი
- 3.2) ხანძარ მედეგი კომბინიზონი
- 3.3) HANS

თავი 4. მძღოლების ტრასაზე მოქცევის წესები

- 4.1) სიგნალების დამორჩილება
- 4.2) გასწრება და მოძრაობა ტრასაზე
- 4.3) რბოლისას ავტომობილის გაჩერება
- 4.4) პადდოკი და პიტლეინი

თავი 1. საავტომობილო რბოლებში მონაწილეობის მისაღებად სსსფ-ს მძღოლის ლიცენზიის გაცემის საერთო წესები.

1.1) საერთო დებულებები.

ყველა იმ ფიზიკურ პირმა, რომელსაც გააჩნია სურვილი მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებებში მძღოლის (მრბოლელის) სახით, ლიცენზიის მისაღებად უნდა მიმართოს.

ფიზიკურ პირს არ გააჩნია უფლება, მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრში თუ მას არ აქვს აღებული შესაბამისი სსფ-ს ან სსსფ-ს ლიცენზია.

ფიზიკურ პირებზე, ეროვნული და საერთაშორისო ლიცენზია გაცემა სსსფ-ს მიერ, ფიზიკური პირის განაცხადის განხილვის შემდგომ სსსფ-ს სპორტული კოდექსის შესაბამისად.

მძღოლის ლიცენზიის მიღება, ასევე შესაძლებელია მხოლოდ ერთი ფსევდონიმის გამოყენებით. ერთი პირის მიერ ორი ფსევდონიმის გამოყენება დაუშვებელია.

ლიცენზიის გაცემისა ან მისი აღდგენის ღირებულებას ადგენს სსსფ.

საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად სსსფ გასცემს, სსფ-ის შესაბამის ლიცენზიას იმ მძღოლებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ სსფ-ს მიერ დადგენილ მოთხოვნებს. ლიცენზია შეესაბამება ყოველწლიურ განახლებას, ყოველი წლის 1 იანვრიდან.

საბუთი - მძღოლის საერთაშორისო ლიცენზია, «სუპერი», «A», «B», «C», «D», «E», «R» და ა.შ. წარმოადგენს სსფ-ს საკუთრებას.

მძღოლის დროებითი დისკვალიფიკაცია ან ლიცენზიის ჩამორთმევა დასჯის მიზნით, იწვევს ლიცენზიის მფლობელის სსსფ-ს და სსფ-ს მიერ ორგანიზებულ ასევე სსსფ-ს სპორტულ კალენდარში ჩასმულ შეჯიბრებებში, დროებით ან მუდმივ აკრძალვას.

1.2) ლიცენზიების გაცემა

ლიცენზია წარმოადგენს სერტიფიკატს, რომლის ფორმაც დამტკიცებულია სსფ-გ მიერ და რომელიც შეიცავს სსსფ-ს დასახელებასა და სიმბოლიკას.

ყველა ეროვნული ლიცენზია მოქმედებს მხოლოდ სსსფ-ს მიერ ორგანიზებულ და მისი იურისდიქციის ქვეშ გამართულ შეჯიბრებებში.

1.3) ნების დართვა სხვა ქვეყნების ჩემპიონატებში მონაწილეობის მისაღებად.

სხვა ქვეყნის ლიცენზიის მისაღებად აუცილებელია ნებართვის აღება სსსფ-ში. ნებართვა გაიცემა მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, როდესაც მძღოლს შეუძლია წარმოადგინოს დასაბუთება იმ ქვეყანაში მუდმივი ყოფნის შესახებ, რომელშიც იმართება შეჯიბრება.

ნებართვის მისაღებად საჭიროა განაცხადის ბლანკის შევსება და მასზე ხელმოწერის დაფიქსირება. ბლანკი თან ერთვის მძღოლმა რომელმაც მიირო ნებართვა სსსფ-ს შეჯიბრებებში ღებულობს მონაწილეობას განსაკუთრებული პირობების შესაბამისად. 2017 წლისათვის შემუშავებულია შემდეგი პირობები:

- ადმინისტრაციულ შემოწმებებზე მძღოლმა უნდა წარმოადგინოს იმ ეროვნული ავტოფედერაციის ლიცენზია, რომლის შეჯიბრში მონაწილეობისათვისაც მან მიიღო ნებართვა.
- მძღოლები – საქართველოს რეზიდენტები, რომლებსაც აქვთ სხვა ქვეყნების ლიცენზიები დაიშვებიან სსსფ-ს მიერ გამოქვეყნებულ საკალენდარო შეჯიბრებებში ნებისმიერი შეზღუდვის გარეშე.

1.4) მძღოლის ლიცენზიის კატეგორიები.

«სუპერ ლიცენზია» - მძღოლის საერთაშორისო ლიცენზია, გაიცემა სსფ-ს მიერ, მისი კრიტერიუმების მიხედვით ფორმულა 1-ის შეჯიბრში მონაწილეობისათვის.

ლიცენზია «A» - მძღოლის საერთაშორისო ლიცენზია, გაიცემა სსსფ-ს მიერ, სსფ-ს კრიტერიუმების მიხედვით საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღების ნების დასართავად. აუცილებელია მრბოლელისათვის, რომლის მანქანის წონის შეფარდება სიმძლავრესთან არის 1კგ/ცმ-ზე ნაკლები.

ლიცენზია «B» - მძღოლის საერთაშორისო ლიცენზია, ნებას რთავს საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღებას. გაიცემა სსსფ-ს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად და სსსფ-ს სპორტული საბჭოს დამტკიცების შემდეგ. აუცილებელია მრბოლელისათვის, რომლის მანქანის წონის შეფარდება სიმძლავრესთან არის 1კგ/ცმ-დან 2კგ/ცმ-მდე და ასევე FIA-ს WTCC ჩემპიონატისათვის.

ლიცენზია «C» - მძღოლის საერთაშორისო ლიცენზია, უფლებას იძლევა საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღებაში, რომელიც ჩასმულია სსფ-ს კალენდარში. აუცილებელია მრბოლელისათვის, რომლის მანქანის წონის შეფარდება სიმძლავრესთან არის 2კგ/ცმ-დან 3კგ/ცმ-მდე (გარდა ზემოთხსენებულისა), ასევე მოითხოვება FIA ავტოკროსისთვის, რალიკროსისთვის და სატვირთო მანქანების ჩემპიონატებისთვის. ასევე მოითხოვება ისტორიული ფორმულა 1-ის მანქანებისთვის, ფორმულა 2-ს მანქანებისთვის, ინდი მანქანებისთვის, ფორმულა 5000 და ფორმულა A მანქანებისთვის, C ჯგუფის ყველა მანქანისთვის და სპორტული პროტოტიპებისათვის (ორი ლიტრიდან) წონისა და სიმძლავრის შეფარდების მიუხედავად.

ლიცენზია «R» - საჭიროა ყველა საგზაო ჩემპიონატისთვის (რალი, აღმართის დაძლევა, და ყველა სხვა ჩემპიონატისთვის, რომელშიც ცალკეული სტარტი იძლევა, ყოველი მონაწილისთვის) რომელიც აღნიშნულია FIA-ს საერთაშორისო კალენდარში.

ლიცენზია «D» - მძღოლის საერთაშორისო ლიცენზია, სსფ-ს ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობით. აუცილებელია მრბოლელისათვის, რომლის მანქანის წონის შეფარდება სიმძლავრესთან არის 3კგ/ცმ-ზე მეტი (გარდა ზემოთხსენებულისა) და ყველა კლუბის საერთაშორისო სერიისთვის რომელიც დარეგისტრირებულია FIA-ს მიერ ასევე მოითხოვება ყველა სახის ისტორიული მანქანის წრიული რბოლისათვის (გარდა ზემოთხსენებულისა) წონისა და სიმძლავრის შეფარდების მიუხედავად. გაიცემა სსსფ-ს მიერ.

სსსფ-ს შეუძლია ისტორიულ კლასში მონაწილეობის მსურველს დაუკმაყოფილოს მოთხოვნა C, D და R კატეგორიის ლიცენზიების გაცემაზე. ამ შემთხვევაში ლიცენზიას კატეგორიაზე ემატება „H“ კოდი შემდეგ აღნიშვნასთან ერთად: "for use in historic motor sport events only" ან დამატებით „HREG“ კოდი R კატეგორიის ლიცენზიის შემთხვევაში, შემდეგი აღნიშვნით: „for use in historic regularity motor sport events only“ (შეჯიბრება სადაც საშუალო სიჩქარე არის მაქსიმუმ 50 კმ/სთ).

ლიცენზია «D-1» - ეს ლიცენზია ნებას რთავს პიროვნებას, რომელსაც არ გააჩნია საერთაშორისო ლიცენზია, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის სპორტული კალენდრით გათვალისწინებულ საერთაშორისო შეჯიბრებებში. ეს ლიცენზია ვარგისია მხოლოდ კონკრეტული საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის, რომელშიც მონაწილეობისათვისაც FIA-ს გადაწყვეტილებით დაშვებულია D1 კატეგორიის ლიცენზია და ყოველივე ეს მითითებულია FIA-ს კალენდარში.

ლიცენზია «E» - მძღოლის საერთაშორისო ლიცენზია, კლასიფიცირებულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღების ნებართვით. გაიცემა სსსა-ს მიერ.

FIA ჯუნიორ - C Off-road - კატეგორია გაიცემა მხოლოდ FIA-ს მიერ განსაზღვრულ ჩემპიონატებში - 13 წლიდან 16 წლამდე ავტოკროსში და 14 წლიდან 17 წლამდე რალიკროსში (14 წელს მიღწეული უნდა იყოს იმ წლის პირველ იანვრამდე, რომელ წელსაც იღებს ის ჩემპიონატში მონაწილეობას).

განსაზღვრული ჩემპიონატები:

ავტოკროსი: FIA Junior Buggy Cup

რალიკროსი: ნებისმიერი FIA-ს მიერ დამტკიცებული ჩემპიონატის სერია სადაც ავტომობილების უსაფრთხოება განსაზღვრულია აპენდიქს J-ით და წონისა და სიმძლავრის შეფარდება არის 5კგ/ცმ ან მეტი (წონა ითვლება მრბოლელით ბორტზე).

თითოეული კატეგორიის ლიცენზია განკუთვნილია წრიული რბოლისთვის, გარდა FIA Junior –C Off-road კატეგორიისა, ვარგისია ასევე ოვალური წრიული რბოლისთვის, რომელშიც დასაშვებია ავტომობილების მონაცემები შეესაბამება ლიცენზიის კრიტერიუმებს. თუმცადა, რეკომენდირებულია, რომ იმ ქვეყნის ეროვნულმა ფედერაციამ, რომელ ქვეყანაშიც სადაც არის ასეთი წრიული ტრასები, დაავალდებულოს ახალბედა მრბოლელები, რომ გაიარონ საცდელი წრე და იმ შემთხვევაში თუ დააკმაყოფილებენ ნორმებს და გაივლიან ტესტს, მიეცეთ რბოლაში მონაწილეობის უფლება.

1.5) საერთაშორისო ლიცენზიების გაცემის კრიტერიუმები და მოთხოვნები

Junior –C Off-road კატეგორიის ლიცენზიის მიღების მსურველმა განაცხადი უნდა გააკეთოს იმ ქვეყნის ეროვნულ ფედერაციაში, რომელი ქვეყნის მოქალაქეობაც აქვს მას. ასეთი განაცხადი უნდა წარადგინოს ლიცენზიის მსურველის მეურვემ. ამასთანავე, დამადასტურებელი საბუთი იმისა (მოთხოვნის შემთხვევაში), რომ მსურველი უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რეგულარულად იღებდა მონაწილეობას აღნიშნული ქვეყნის ეროვნული ფედერაციის მიერ სანქცირებულ შეჯიბრებებში.

დოკუმენტები:

- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- მშობლების ნოტარიულად დამტკიცებული თანხმობა საავტომობილო რბოლებში მონაწილეობაზე;
- 2 ფოტოსურათი (3x4) და ამსურათის ელექტრონული ვერსია;
- დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი;

CJ - კატეგორია - მრბოელს ეძლევა ნებართვა სსფ-ს ან სხვა ნებისმიერი ქვეყნის ესფ-ს ოფიციალურ საყმაწვილო შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად.

ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

დოკუმენტები:

- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- მშობლების ნოტარიულად დამტკიცებული თანხმობა საავტომობილო რბოლებში მონაწილეობაზე;
- 2 ფოტოსურათი (3x4) და ამსურათის ელექტრონული ვერსია;
- დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი;

ნორმატივი:

- ლიცენზიის მსურველი უნდა იყოს არანაკლებ 6 წლისა და არაუმეტეს 18 სრული წლისა.

- სსსფ-ს მიერ კარტინგში გამართულ ოფიციალურ სარბოლო სეზონში DJ კატეგორიის ლიცენზიით მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული რბოლების მინიმუმ 70%-ში ან

სსსფ-ს მიერ გაცემული D კატეგორიის ლიცენზიით სარბოლო სეზონში მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ფორმულას ტიპის რბოლების მინიმუმ 70%-ში.

D კატეგორია - ამ ლიცენზიის მიღების მსურველმა განაცხადი უნდა გააკეთოს იმ ქვეყნის ეროვნულ ფედერაციაში, რომელი ქვეყნის მოქალაქეობაც აქვს მას. ლიცენზიის პრეტენდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს გამოსაცდელი პერიოდი ბოლო 2 წლის განმავლობაში მინიმუმ 5 წრიული რბოლის სახით და ამ რბოლებში მისი მონაწილეობა უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, ან უნდა ჰქონდეს CIK-ის (კარტინგის საერთაშორისო კომისია) B კატეგორიის საერთაშორისო ლიცენზია.

დოკუმენტები:

1. სსსფ-სან FIA-ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოლელის საერთაშორისო ლიცენზია;
2. მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
3. ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
4. არასრულწლოვანის შემთხვევაში (16 - დან 18 წლამდე) ნოტარიულად დამტკიცებული მშობლების თანხმობა საავტომობილო რბოლებში მონაწილეობაზე;
5. 2 ფოტოსურათი (3x4) და ამსურათის ელექტრონული ვერსია;
6. პირადობის მოწმობის ასლი;
7. განაცხადი;

პრობაციის პერიოდში განაცხადის შემომტანის ქვეყნის ეროვნულ ფედერაციას ან FIA-ს უფლება აქვთ შეუჩერონ პრობაციის პერიოდი გაფრთხილების გარეშე.

D1 კატეგორიის ლიცენზია განიხილება განაცხადის შემომტანის ქვეყნის ეროვნულ ფედერაციის მიერ და არ მოითხოვს დაკვირვების და გამოცდის პერიოდს.

D1 კატეგორიის ლიცენზია ვარგისია მხოლოდ ერთი შეჯიბრისთვის, სახელი და თარიღი რომელიც მიუთითებს ASN-ს ლიცენზიის განხილვას.

D1 ლიცენზია განკუთვნილია მხოლოდ ერთი კონკრეტული რბოლისთვის, რომელი რბოლის დასახელებაც მითითებული უნდა იყოს ამ ლიცენზიაში ქვეყნის ეროვნულ ფედერაციის მიერ. თუ მონაწილე იყენებს საერთო სარგებლობის გზებს (დახურულს ან ღიას), ამ კატეგორიის ლიცენზიის მფლობელს ასევე უნდა გააჩნდეს შეჯიბრის ჩატარების ადგილას მოქმედი ავტომობილის მართვის მოწმობა. არ არსებობს ერთ პიროვნებაზე ამ კატეგორიის ლიცენზიის გაცემის ლიმიტი.

დოკუმენტები:

1. სსსფ-სან FIA-ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოლელის საერთაშორისო ლიცენზია;
2. მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
3. ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
4. არასრულწლოვანის შემთხვევაში (16 - დან 18 წლამდე) ნოტარიულად დამტკიცებული მშობლების თანხმობა საავტომობილო რბოლებში მონაწილეობაზე;
5. 2 ფოტოსურათი (3x4) და ამსურათის ელექტრონული ვერსია;
6. პირადობის მოწმობის ასლი;
7. განაცხადი;

C კატეგორია - ამ ლიცენზიის მიღების მსურველმა განაცხადი უნდა გააკეთოს იმ ქვეყნის ეროვნულ ფედერაციაში, რომელი ქვეყნის მოქალაქეობაც აქვს მას. იმისათვის რომ გაიაროს კვალიფიკაცია, განაცხადის შემომტანი უნდა იყოს დაკვირვების ქვეშ თუნდაც ფლობდეს უმაღლესი კლასის ნაციონალურ ლიცენზიას ან CIK-ის საერთაშორისო B ლიცენზიას ან D კატეგორიის საერთაშორისო ლიცენზიას.

C ლიცენზიის მფლობელს გავლილი უნდა ჰქონდეს გამოსაცდელი პერიოდი მინიმუმ 5 წრიული რბოლის სახით და ამ რბოლებში მისი მონაწილეობა უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, ან უნდა D კატეგორიის საერთაშორისო ლიცენზიას 2 წლიანი გამოცდილებით.

გამონაკლის შემთხვევებში ასეთი რბოლები შეიძლება იყოს საერთაშორისო სერიების ნაწილი ჩატარებული FIA-ს მიერ, სადაც კანდიდატები მონაწილეობის მიღებას შეძლებენ ეროვნული ლიცენზიით მხოლოდ ერთი სეზონის განმავლობაში. ლიცენზიაზე განაცხადის შემომტანი აუცილებლად უნდა იყოს სულ მცირე 16 წლის (დაბადების თარიღი სავალდებულოა).

დოკუმენტები:

1. სსსფ-სან FIA-ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოელის საერთაშორისო ლიცენზია;
2. მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
3. ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
4. არასრულწლოვანის შემთხვევაში (16 - დან 18 წლამდე) ნოტარიულად დამტკიცებული მშობლების თანხმობა საავტომობილო რბოლებში მონაწილეობაზე;
5. 2 ფოტოსურათი (3x4) და ამსურათის ელექტრონული ვერსია;
6. პირადობის მოწმობის ასლი;
7. განაცხადი;

R კატეგორიის - ამ ლიცენზიის მიღების მსურველმა განაცხადი უნდა გააკეთოს იმ ქვეყნის ეროვნულ ფედერაციაში, რომელი ქვეყნის მოქალაქეობაც აქვს მას. იმისათვის რომ გაიაროს კვალიფიკაცია განაცხადის შემომტანმა უნდა გაიაროს დაკვირვების პერიოდი მოქმედი უმაღლესი კლასის ნაციონალური ლიცენზიით, რომლის მოქმედების პერიოდში მისი რბოლებში მონაწილეობა ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად. რეკომენდაციას წერს რბოლის ხელმძღვანელი, რომელის ზედამხედველობის ქვეშ ჩატარებულ რბოლაშიც იღებდა მონაწილეობას ლიცენზიის პრეტენდენტი.

დოკუმენტები:

1. სსსფ-სან FIA-ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოელის B კატეგორიის საერთაშორისო ლიცენზია;
2. მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
3. ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
4. არასრულწლოვანის შემთხვევაში (16 - დან 18 წლამდე) მშობლების თანხმობა საავტომობილო რბოლებში მონაწილეობაზე ნოტარიულად დამტკიცებული;
5. 2 ფოტოსურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
6. პირადობის მოწმობის ასლი;
7. განაცხადი;

A და B კატეგორიის ლიცენზიების მიღების მსურველმა განაცხადი უნდა გააკეთოს იმ ქვეყნის ეროვნულ ფედერაციაში, რომელი ქვეყნის მოქალაქეობაც აქვს მას. ლიცენზია გაიცემა მრბოელზე, რომლის რბოლებში მონაწილეობაც გამცემის მხრიდან ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

B კატეგორიის ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

1) მრბოელი უნდა იყოს 18 წელზე მეტის. მონაწილეობა მიღებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 10 ეროვნულ რბოლაში ან ბოლო 2 წლის განმავლობაში სხვა ქვეყნის ეროვნული ფედერაციის მიერ სანქცირებულ საავტომობილო წრიულ რბოლაში, რომლებშიც მრბოელის მონაწილეობა ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

ან

2) მრბოელი უნდა ფლობდეს C კატეგორიის ლიცენზიას და მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული სულ მცირე 7 ეროვნულ ჩემპიონატში ან საერთაშორისო რბოლაში, რომლებშიც მრბოელის მონაწილეობა ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

ან

3) განცხადების შემომტანი ბოლო პერიოდში ჩატარებულ CIK-ის მსოფლიო ჩემპიონატის ან CIK-ის მსოფლიო თასის გათამაშების კლასიფიკაციაში წლიურ ჩათვლაში უნდა იყოს ტოპ-სამეულში.

დოკუმენტები:

1. სსსფ-სან FIA-ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოელის B კატეგორიის საერთაშორისო ლიცენზია;
2. მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;

3. ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
4. არასრულწლოვანის შემთხვევაში (16 - დან 18 წლამდე) მშობლების თანხმობა საავტომობილო რბოლებში მონაწილეობაზე ნოტარიულად დამტკიცებული;
5. 2 ფოტოსურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
6. პირადობის მოწმობის ასლი;
7. განაცხადი;

A-კატეგორიის ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

დაკმაყოფილებული უნდა იქნას B კატეგორიის მისაღებად საჭირო მოთხოვნები და დამატებით განმცხადებელი ბოლო 24 თვის განმავლობაში ხუთეულში არის მოხვედრილი ისეთ 5 რბოლაში, რომელში მონაწილეობისთვისაც საჭიროა B კატეგორიის ლიცენზია ან მიმდინარე ან წინა წლის წლიურ ჩათვლაში მოხვედრილი არის ხუთეულში ისეთ რბოლაში, რომელში მონაწილეობისთვისაც საჭიროა B კატეგორიის ლიცენზია. FIA-ს შეუძლია მოსთხოვოს ლიცენზიის გამცემს ყოველივე ზემოთ თქმულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დოკუმენტები:

1. სსსფ-ს ან FIA-ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოლელის B კატეგორიის საერთაშორისო ლიცენზია;
2. მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
3. ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
4. არასრულწლოვანის შემთხვევაში (16 - დან 18 წლამდე) ნოტარიულად დამტკიცებული მშობლების თანხმობა საავტომობილო რბოლებში მონაწილეობაზე;
5. 2 ფოტოსურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
6. პირადობის მოწმობის ასლი;
7. განაცხადი;

იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნას A და B კატეგორიის ლიცენზია, მრბოლელმა ყოველ 12 თვეში მონაწილეობა უნდა მიიღოს სულ მცირე ერთ ისეთ საერთაშორისო შეჯიბრში, რომელშიც საჭიროა აღნიშნული ლიცენზიები, ან სხვა შემთხვევაში თავიდან უნდა გაიაროს მისი აღებისთვის საჭირო ყველა პროცედურა.

სუპერ ლიცენზია -ფორმულა ერთის მრბოლელის ლიცენზიას გაიცემა FIA-ს მიერ.

E-ლიცენზია

1.1 E-ლიცენზიის კვალიფიკაცია

- 1.1.1 მძღოლი უნდა ფლობდეს მოქმედ FIA-ს საერთაშორისო B კატეგორიის ლიცენზიას.
- 1.1.2 მძღოლს წარმატებით უნდა ჰქონდეს გავლილი ტრენინგი შეჯიბრის ელექტრული უსაფრთხოების, ტექნიკური და სპორტული ასპექტების შესახებ.
- 1.1.3 მძღოლმა წარმატებით უნდა დაასრულოს კითხვარის სესია მნიშვნელოვან საკითხებზე საერთაშორისო სპორტულ კოდექსისა და FIA-ს ფორმულას E ჩემპიონატის რეგულაციებთან დაკავშირებით.
- 1.1.4 მძღოლი უნდა აკმაყოფილებდეს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს მაინც:

ა) უნდა ჰქონდეს სულ მცირე 3 დაწყებული რბოლა FIA-ს მიერ ჩატარებულ E ჩემპიონატებში გასულ წელს ან სულ მცირე 10 დაწყებული რბოლა ბოლო 3 წლის განმავლობაში.

ბ) დაგროვილი აქვს სულ მცირე 20 ქულა აპლიკაციის შეტანამდე სამი წლის განმავლობაში

გ) ადრე ფლობდა ფორმულა 1-ის სუპერ ლიცენზიას.

დ) მძღოლი უნდა იქნას განხილული FIA-ს მიერ რომ აქვს საბოლოო და მუდმივი გამოჩენილი შესაძლებლობა ერთ ადგილიან ფორმულას მანქანის მართვისა, მაგრამ არ ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო კვალიფიკაცია ზემოთ ხსენებული ა)-სა და გ)-ს ქვეშ.

1.6) ეროვნული ლიცენზიების გაცემის კრიტერიუმები

M - კატეგორია - მრბოლელს ეძლევა უფლება მონაწილეობა მიიღოს სსსფ-ს ოფიციალური კალენდრის მიხედვით ორგანიზებულ წრიულ რბოლებში მხოლოდ წრიულ რბოლაში მარანი ავტომობილების კლასში (იგივე კლასი GTCC);

ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

დოკუმენტები:

- ავტომობილის მართვის მოწმობა და ექსტრემალური მართვის სკოლის მიერ გაცემული ნორმატიული დოკუმენტი ან ექსტრემალური მართვის სკოლის მიერ გაცემული სპეციალური სერთიფიკატი;
- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- არასრულწლოვანის შემთხვევაში (14 - დან 18 წლამდე) ნოტარიულად დამტკიცებული მშობლების თანხმობა საავტომობილო რბოლებში მონაწილეობაზე;
- 2 ფოტოსურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი;

ნორმატივი:

- HONDA Civic 1500, BMW Compact 1900 კლასის ან ამ კლასების ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი ავტომობილით (იგივე კლასი GTCC) წრიული რბოლის ტრასაზე სსსფ-ს მიერ განსაზღვრული ნორმატიულ დროში მინიმუმ 3 -ჯერ ზედიზედ გავლა. სსსფ-ს მიერ აღიარებულ ნორმატიულ დროდ ითვლება ზემოთ მოცემული კლასის ავტომობილებით, კონკრეტულ ტრასაზე და კონკრეტული ამინდის პირობებში, ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრზე ნაჩვენებ საუკეთესო დროს დამატებული ამავე დროის 12%.

E - კატეგორია - მრბოლელს ეძლევა უფლება მონაწილეობა მიიღოს სსსფ-ს ოფიციალური კალენდრის მიხედვით ორგანიზებულ ნებისმიერი ტიპის შეჯიბრზე, გარდა ერთადგილიანი ბოლიდების კლასისა. ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

დოკუმენტები:

- ავტომობილის მართვის მოწმობა, ექსტრემალური მართვის სკოლის მიერ გაცემული სპეციალური სერთიფიკატი ან FIA-ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოლელის ლიცენზია;
- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- არასრულწლოვანის შემთხვევაში (14 - დან 18 წლამდე) ნოტარიულად დამტკიცებული მშობლების თანხმობა საავტომობილო რბოლებში მონაწილეობაზე;
- 2 ფოტოსურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი;

ნორმატივი:

1. FIA - ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოლელის ლიცენზია შესაბამისი ან ზემდგომი კატეგორიით ;
ან
2. სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული ექსტრემალური მართვის სკოლის სერთიფიკატი შესაბამისი შეფასებით;
ან
3. სსსფ-ს მიერ ლიცენზირებულ ოფიციალურ სამოყვარულო რბოლებზე:
 - 5 ჯერ მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეულ შეჯიბრზე მინიმუმ 1 სტარტით და 1 ფინიშით).
ან
 - 2 ჯერ საპრიზო ადგილის მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი.
ან
 - 1 ჯერ გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი.
ან
4. M კატეგორიის ლიცენზიით მინიმუმ 3 შეჯიბრზე მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეულ შეჯიბრზე მინიმუმ 1 სტარტით და 1 ფინიშით) .
ან
5. სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული ოფიციალურ კარტინგის რბოლებზე;

- 5 ჯერ მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეულ შეჯიბრზე მინიმუმ 1 სტარტით და 1 ფინიშით).

ან

- 2 ჯერ საპრიზო ადგილის მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ან

- 1 ჯერ გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი.

F - კატეგორია - მრბოლელს ეძლევა უფლება მონაწილეობა მიიღოს სსსფ-ს ოფიციალური კალენდრის მიხედვით ორგანიზებულ ნებისმიერი ტიპის შეჯიბრზე, ნებისმიერ კლასში.
ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

დოკუმენტები:

- ავტომობილის მართვის მოწმობა, ექსტრემალური მართვის სკოლის მიერ გაცემული სპეციალური
- სერთიფიკატი ან FIA-ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული
- მრბოლელის ლიცენზია;
- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- არასრულწლოვანის შემთხვევაში (14 - დან 18 წლამდე) მშობლების თანხმობა საავტომობილო
- რბოლებაში მონაწილეობაზე ნოტარიულად დამტკიცებული;
- 2 ფოტო სურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი;

ნორმატივი:

1. FIA-ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოლელის ლიცენზია;
ან
2. სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული ექსტრემალური მართვის სკოლის სერთიფიკატი;
ან
3. სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული ოფიციალურ სამოყვარულო რბოლებაზე:
 - 5 ჯერ მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეულ შეჯიბრზე მინიმუმ 1 სტარტით და 1 ფინიშით).ან
 - 2 ჯერ საპრიზო ადგილის მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი.ან
 - 1 ჯერ გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი.ან
4. M კატეგორიის ლიცენზიით:
მინიმუმ 3 შეჯიბრზე მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეულ შეჯიბრზე მინიმუმ 1 სტარტით და 1 ფინიშით).
ან
5. სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული ოფიციალურ კარტინგის რბოლებაზე:
 - 5 ჯერ მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეულ შეჯიბრზე მინიმუმ 1 სტარტით და 1 ფინიშით).ან
 - 2 ჯერ საპრიზო ადგილის მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი.ან
 - 1 ჯერ გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი

1.7) დაზღვევა

ყველა მძღოლმა ადმინისტრაციული შემოწმების დროს, უნდა წარმოადგინოს სავალდებულო სამედიცინო დაზვევის ბარათი.

1.8) მძღოლის ლიცენზიის მოქმედების ვადა

მძღოლის ლიცენზიის ვადა განისაზღვრება გაცემის დღიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.9) ლიცენზიის ღირებულების გადასახადი

ლიცენზიის ღირებულების გადასახადი განისაზღვრება სსსა-ს მიერ, ხოლო საერთაშორისო ლიცენზიის გაცემა ხორციელდება სასფ-ის მიერ სსფ-ის რეკომენდაციის შესაბამისად.

1.10) ლიცენზიის მოქმედება.

სსფ-ის მიერ გაცემული საერთაშორისო ლიცენზია მოქმედია სსფ-ის მიერ წარდგენილ ყველა ქვეყანაში. ხოლო სსსა-ს მიერ გაცემული ლიცენზიები მოქმედებს ყველა იმ შეჯიბრზე რომელიც მოცემულია სსსა-ს სპორტულ კალენდარში. ლიცენზიები აუცილებლად შეიცავს მათი მფლობელების სახელებს..

თავი 2. მძღოლების სამედიცინო შემოწმების წესები (გამოქვეყნდება დამატებით)

თავი 3. მძღოლების ეკიპირება

3.1) ჩაფხუტი

3.1.1. სტანდარტები

ყველა მძღოლი, რომელიც მონაწილეობს წრიული რბოლების, ავტოკროსში, რალი-კროსში, ტრეკებსა თუ ყინულიანი საფარის რბოლებში, კარტინგში, დრეგ-რეისინგში, მთიანი რელიეფის ასევე რალის სპეციალურ მონაკვეთებზე, რალი რეიდებში, ტროფი რეიდებში, ტრეკ ტრიალში, ჯიპ ტრალებსა თუ სხვა ჩქაროსნულ შეჯიბრში რომელიც ჩართულია სსსა-ს კალენდარში, ვალდებულია ატაროს ჩაფხუტი, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს მოცემულს დანართი №15 ტექნიკური მოთხოვნები, ხოლო კარტინგისათვის დამატებით ნახეთ ეროვნული სპორტული წესები კარტინგისათვის.

მძღოლები რომლებიც მონაწილეობენ სსფ-ს მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო შეჯიბრებებში, უნდა ატარებდნენ დამცავ ჩაფხუტს ისე როგორცაა მოცემული სსფ-ს წესების დანართ «L» ში.

3.1.2. მოდიფიკაციები

ჩაფხუტი არ ექვემდებარება არანაირ მოდიფიკაციას, რომელიც არ განსაზღვრული მწარმოებლის მიერ, ნებისმიერი სახეცვლილება ჩაფხუტის კონსტრუქციაში იწვევს მის საავტომობილო სპორტისათვის ვარგისიანობის დაკარგვას.

3.1.3. მაქსიმალური წონა და კავშირგაბმულობის სისტემები

დახურული ტიპის ჩაფხუტის მაქსიმალური წონა, არ უნდა აღემატებოდეს 1800 გრ. ხოლო ღია ტიპის ჩაფხუტის წონა 1400გრამს.

3.1.4. ჩაფხუტის მორთვა

ჩაფხუტის ზედაპირზე არსებული საღებავი არ უნდა გადადიოდეს და არ უნდა ზემოქმედებდეს მის დამცველობით უნარზე (ნახ. შლემის მწარმოებლის მითითებები).

აკრზალულია ისეთი შეღებვის მეთოდების გამოყენება, რომელიც იწვევს შლემის ტემპერატურულ ცვლილებას და ასევე სავალდებულოა თვითწებადი სარეკლამო მასალის გამოყენებისას გათვალისწინებული იქნას მწარმოებლის ინსტრუქციები.

3.2) ცეცხლგამძლე ტანსაცმელი

ჩქაროსნული შეჯიბრებების დროს, ავტოკროსი, რალი-კროსი, სატრეკო და ყინულიანი საპარის მქონე ტრასებზე, კარტინგზე, მთიანი ზედაპირის მქონე რბოლებზე, რალის სპეციალურ მონაკვეთებზე, რალი-რეიდების დროს, რომლებიც ჩართულია სსსა-ს სპორტულ კალენდარში ყველა პირველი და მეორე მძღოლი უნდა ატარებდეს დამცავ კომბინიზონსა და ხელთათმანებს (მეორე მძღოლებისათვის რეკომენდირებულია), შლემის ქვეშა ამოსაცმელ, გრძელი წინდები, ქვედა საცვლები და ფეხსაცმელი სავალდებულოა იმ ნორმატივების გათვალისწინებით რომელიც მოცემულია დანართი №15 ტექნიკური მოთხოვნები. ის მძღოლები, რომლებიც მონაწილეობენ სსფ-ს მიერ გამოქვეყნებულ კალენდარულ რბოლებში უნდა აკმაყოფილებდნენ დაცვითი ტანსაცმლის ტარების ნორმებს, რომელიც მიეკუთვნება სსფ-ს კოდექსის «L» დანართს. ყველა ნაჭარგი, რომელიც განთავსებულია კომბინიზონზეგაკეთებული უნდა იყოს მხოლოდ გარეთა მხრიდან კომბინიზონის გარე ზედაპირზე. წარწერები და ნაჭერი რომელზედაც ისინი განთავსებულია უნდა იყოს არა აალებადი.

3.3) HANS ®.

წრიულ რბოლებსა და რალის დროს რეკომენდირებულია თავისა და კისრის დამცავი HANS ®, გამოყენება, რომელიც მიღებულია სსფ-ს მიერ. HANS ® სისტემის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მასთან თანდართული ჩაფხუტების გამოყენებისას. 2007 წლიდან HANS ® სისტემის გამოყენება აუცილებელია ყველა ჩემპიონატებსა თუ თასებზე რომელიც მოცემულია სსფ-ს კალენდარში, ხოლო 2008 წლიდან – სსფ-ს ყველა იმ შეჯიბრში რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო შეჯიბრებებს.

თავი 4. მძღოლების ტრასაზე მოქცევის წესები

4.1) სიგნალების დაქვემდებარება

სსსა-ს სპორტული კოდექსის ნორმების მიხედვით, ყველა მძღოლი ვალდებულია უპირობოდ შეასრულოს

ის. მძლოლი, რომელიც მონაწილეა შეჯახებისა ან ავარიისა ვალდებულია არ დატოვოს შეჯიბრი იმ დროდე სანამ მას არ მიეცემა შესაბამისი უფლება სპორტული კომისარის მხრიდან მხოლოდ იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს განპირობებულია ექიმის ნებართვით.

4.2) ტრასაზე მოძრაობა და გადასწრება

4.2.1. შეჯიბრების დროს ავტომანქანას რომელიც მოძრაობს ტრასაზე, შეუძლია გამოიყენოს მისი სრული სიგანე, მაგრამ როგორც კი სწორზე მას ეწევა მანქანა, რომლის სიჩქარეც იმ მომენტისათვის აღემატება მის სიჩქარეს ის ვალდებულია დაუთმოს მას გზა და გაატაროს თავისუფლად.

4.2.2. მძლოლი, რომელიც ჩამორჩება წრეს, (რამოდენიმე წრეს) ვალდებულია გაატაროს ყველა მისი გამსწრები ავტომანქანა (დაუთმოს გზა). მძლოლს რომელიც არ უთმობს გზას, მსაჯები აჩვენებენ ცისპერ ალამს.

4.2.3. თუ მსაჯები დასტურდებიან იმაში, რომ ჩამორჩენილი მძლოლი არ იყენებს უკანა ხედვის სარკეს მაშინ მას აჩვენებენ ცისფერ ალამს.

4.2.4. ყველა ის მძლოლი, რომელიც ყურადღებას არ აქცევს ცისფერ ალამს, შესაძლებელია დასჯილი იყოს სპორტული კომისრის მიერ.

აღნიშნულის განმეორებამ შესაძლებელია სპორცმენი მიივანოს დისკვალიფიკაციის დონემდე.

4.2.5. მოსახვევები და ასევე ტრასაზე გასვლისა და შემოსვლის ზონები შესაძლებელია მოხდნენ ტრასის საზღვრებში. გადასწრება მოცემულ მომენტში შესაძლებელია როგორც მარცხნიდან ასევე მარჯვენა მხრიდან. მაგრამ მანევრებმა, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალონ სხვა მძლოლებს, არჩეული მიმართულების (ტრექტორიის) განზრახ შეცვლა, მიმართულების რამოდენიმეჯერ შეცვლა, ავტომობილების მოსახვევებს განზრახ დაგროვება ან სხვა რომელიმე არანორმალური მოძრაობა გამოიწვევს გარკვეულ დასჯითი ღონისძიებების მიღებას, რომლებიც განსაზღვრული იქნება მათი სირთულის მიხედვით, განისაზღვრება როგორც ადმინისტრაციული ჯარიმები, დისკვალიფიკაციის ჩათვლით ასევე ფინანსური.

4.2.6. მანევრი ტრასაზე ავტომობილების გადასწრება, განისაზღვრება შემდეგი სამი ეტაპით:

ა) იმ მომენტამდე, როდესაც წინა ბორბალი (მოწინააღმდეგის უახლოესი ავტომობილის მხრიდან) იმ ავტომობილისა რომელიც ეწევა გაუთანაბრდა წინ მიმავალი მანქანის უახლოეს უკანა ბორბალს – უპირატესობა ტრექტორიის ამორცევაში ენიჭება წინ მიმავალ ავტომობილს.

ბ) როდესაც წინა ბორბალმა (მოწინააღმდეგის უახლოესი ავტომობილის მხრიდან) იმ ავტომობილისა რომელიც ეწევა გადაუსწრო წინ მიმავალი მანქანის უახლოეს უკანა ბორბალს – მასინ ორივე ავტომანქანამ უნდა იმოძრაოს პარალელური ტრექტორიებით, ამასთან ორივე მძლოლმა ტრექტორია უნდა შეარჩიოს ისე, რომ მოსახვევის აპექსთან მიახლოებისას აპექსის გარე მხრიდან მიმავალმა ავტომანქანამ გაითვალისწინოს აპექსის შიდა მხარეს მიმავალი მანქანის ტრექტორია, ხოლო მოსახვევიდან გამოსვლისას მძლოლმა რომელიც მოძრაობს აპექსის შიდა მხარიდან გაითვალისწინოს აპექსის გარე მხრიდან მოძლავი ავტომანქანის ტრექტორია. მოცემული პუნქტი მოქმედებს მანამდე სანამ, ერთ–ერთი ავტომობილის უკანა ბორბალი (უკანა ღერძი) არ გადაუსწრებს მეორე ავტომობილის წინა ბორბალს (წინა რერძს).

გ) „ბ“ პუნქტის მოქმედების დასრულების შემდეგ, როდესაც ერთი ავტომობილის უკანა ბორბალი უსწრებს მეორე ავტომობილის წინა ბორბალს გადასწრების მანევრი დასრულებად ითვლება. ამის სემდეგ წინ მიმავალ ავტომანქანას აქვს პრევეგატივა შემდგომი მოძრაობის ტრექტორიის ამორჩევისას.

აღნიშნული წესების დარღვევა შესაძლებელია სეფასებული იქნას, როგორც არასპორტული მოქმედება.

იმ შემთხვევაში, როდესაც მძლოლის მიერ გასწრების მანევრი სრულდება მოსახვევის ზონაში და თუ აღნიშნული დადასტურებულია, მაშინ პასუხისმგებლობა შესაძლო გაუთვალისწინებელ შედეგებზე ეკისრება აღნიშნული მანევრის დამწყებ მძლოლს.

4.2.7. იკრძალება ნებისმიერი ის მანევრი, რომელიც იწვევს ბლოკირებას იმისდა მიუხედავად ასრულებს ამას ერთი თუ ორი მძლოლი. არ დაიშვება რამოდენიმე ავტომობილის ტრასაზე დიდხანს ერთმანეთის გვერდიგვერდ სიარული ან ვეერის პოზიციით სიარული იმ შემთხვევასი თუ მათ უკან მისდევს ავტომობილი, რომელიც ცდილობს მათ გასწრებას. მძლოლებზე ნაჩვენები იქნება ცისფერი ალამი.

4.2.8. ჯარიმები რომლებიც გამოიყენება იმ მძლოლების მიმართ, რომელიც არ ემორჩილებიან ცისფერ ალამს ასევე გამოიყენება იმ მძლოლების მიმართაც რომლებიც რომლებიც აწარმოებენ ტრასის ბლოკირებას ამასტან ასეთი დარღვევის სისტემატიურობისას მათი სასჯელი შესაძლებელია იყოს უფრო მკაცრიც, ფინანსური ჯარიმიდან დაწყებული დასრულებული დისკვალიფიკაციის ჩათვლით. (მუხლი.153 სსსა–ს სპორტული კოდექსი). იგივე ჯარიმები გამოიყენება მძლოლებისათვის, რომლებიც მოძრაობენ ტრასაზე ზიგზაგებით, რათა

ხელი შეუშალონ სხვა მძღოლებს გასწრების მანევრის განხორციელებაში.

4.2.9. სახიფათო სიარული, ანუსერიოზული შეცდომების გამეორება ან ავტომანქანაზე კონტროლის უქონლობა – იწვევს მძღოლის დისკვალიფიკაციას შეჯიბრებებიდან.

4.2.10. მხოლოდ ტრასა და განრიგით გათვალისწინებული დრო უნდა იქნეს გამოყენებული ვარჯიშებისა და შეჯიბრებისათვის.

4.2.11. აკრძალულია ავტომობილების მოძრაობა ტრასაზე, ორგანიზატორის მიერ განსაზღვრული მიმართულების საწინააღმდეგოდ.

4.3) ავტომანქანის გაჩერება რბოლების დროს

4.3.1. მძღოლს რომელსაც განსაზღვრული აქვს ტრასიდან გასვლა, გაჩერება ან ბოქსში შესვლა ვალდებულია დროულად აცნობოს აღნიშნულის შესახებ სხვა მძღოლებს, მისთვის შესაძლო ხერხით, მაგალითად ხელის აწევით. ასევე მასზეა ის პასუხისმგებლობა რათა მისმა მანევრმა არ გამოიწვიოს რაიმე სახიფათო გარემოება.

4.3.2. შეჯიბრების დროს ავტომანქანის გაჩერების შემთხვევაში, გაჩერების მიზეზების მიუხედავად, ის ვალდებულია რაც შეიძლება სწრაფად გაერიდოს ტრასას და გადაინაცვლოს მის უსაფრთხო კიდეზე.

4.3.3. თუ მძღოლს უსაფრთხოების ქამრების შეხსნის გარეშე არ შეუძლია ავტომანქანის გადაყვანა უსაფრთხო ადგილზე, მაშინ მსაჯები ან სხვა ოფიციალური პირები ვალდებული არიან დაეხმარონ მათ. ხოლო იმ შემთხვევაში თუ მძღოლმა შესძლო თავისით, სხვის დაუხმარებლად ავტომანქანის ამუშავება და შეჯიბრში ჩართვა ისე, რომ აღნიშნული მოქმედებებიდან მან არ მიიღო რაიმე სარგებელი, მაშინ ის დაიშვება შეჯიბრში. იმ სიტუაციების წარმოშობისას, როდესაც ავტომანქანას არ აქვს ავტონომიურად გადაადგილების შესაძლებლობა, მძღოლი ვალდებულია დაიცვას უსაფრთხოების წესები, დატოვოს ავტომანქანა და გაჩერდეს უსაფრთხო ადგილას ავტომობილისა ან მისი ევაკუაციის ბოლომდე.

4.3.4. ნებისმიერი რემონტი ტრასაზე დაიშვება მხოლოდ იმ მძღოლებისათვის, რომლებსაც უსაფრთხოების ქამრების შეუხსნელად საშუალება აქვთ ადგილზე მანქანაში არსებული ინსტრუმენტის გამოყენებით მოახდინონ დაზიანების აღმოფხვრა.

4.3.5. დაუშვებელია ტრასაზე ავტომანქანის საწვავით გამართვა. (შესაძლებელია გამოყენებული იქნას დისკვალიფიკაცია)

4.3.6. მძღოლისა და ოფიციალური პირების გარდა არავის არ აქვს უფლება მიეკაროს გაჩერებულ ავტომობილს, შეჯიბრიდან დისკვალიფიკაციის მირების საშიშროებით.

4.3.7. აკრძალულია ავტომანქანის ხელით მიწოლა როგორც ტრასის გადაკვეთის, ასევე ფინიშამდე მისვლის საბაზით. (შესაძლო დისკვალიფიკაცია) ნებისმიერი ავტომობილი, რომელიც გასულია ტრასიდან და მასში არ ზის მძღოლი ითვლება შეჯიბრიდან გავარდნილ ავტომობილად.

4.4) პადდოკი და პიტ-ლეინი

4.4.1. პადდოკი – მკვრივი ზედაპირის მონაკვეთი, რომელსაც გამოყოფს ორგანიზატორი, რათა იქ იქნას განთავსებული იქნას მონაწილეების ტექნიკური ავტომობილები და ასევე სპორტული ავტომობილები, შემდგომში მათი მომსახურების გასაწევად.

4.4.1.1. ბოქსი – პადდოკის ნაწილი, ნაგებობა, რომელიც გამოიყოფა ორგანიზატორის მიერ მონაწილეებისათვის ზედმატი ტექნიკის განსათავსებლად და მას გააჩნია პიტ-ლეინზე გასვლის საშუალება.

4.4.1.2. შეჯიბრებების დროს ავტომობილები, რომლებიც არ მონაწილეობენ შეჯიბრში და ასევე მათი სერვისის ავტომობილები განთავსებულნი უნდა იყვნენ პადდოკის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

4.4.2. პიტ-უოლი - კედელი რომელიც ჰყოფს ტრასას პიტ-ლეინისაგან.

4.4.3. სასიგნალო პლატფორმა – მძღოლებისათვის ინფორმაციის მიწოდების ადგილი.

4.4.4. პიტ-ლეინი - გზის საფარის სპეციალურად გამოყოფილი ადგილი რომელიც ესაზღვრება ტრასას და განთავსებულია პი-უოლსა და ბოქსებს შორის, გამოიყენება ავტომანქანების ტრასაზე ან ტრასიდან უსაფრთხო გადაადგილებისათვის.

4.4.4.1. მოძრაობის ხაზი (ფასტ-ლაინი) – პიტ. ლეინის ნაწილი, რომელიც ესაზღვრება სასიგნალო პლატფორმას და რომელიც გამოიყენება ავტომობილების სამოძრაოდ, სიჩქარის მატებისა და კლების ზონებისათვის. (სიჩქარე არ აღემატება 60 კმ/სთ.). მოძრაობის ზოლზე გაჩერება აკრძალულია.

4.4.4.2.სამუშაო ზონა (სლოუ-ლაინი) – პიტ-ლეინის ნაწილი რომელიც ესაზღვრება ბოქსებს, არ არის განსაზღვრული ავტომობილების პირდაპირი მოძრაობისათვის.

4.4.4.3. სამუშაო ზონაში აკრძალულია ავტომანქანის საწვავით გამართვა. (თუ რეგლამენტით არ არის განსაზღვრული სხვა ადგილი).

4.4.4.4.შეჯიბრებების დროს, სამუშაო ზონაში რაიმე სამუშაოების ჩატარება შეუძლია მხოლოდ მონაწილის პერსონალს. ადმინისტრაციული შემოწმების დროს ორგანიზატორი მონაწილის პერსონალს ურიგებს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის საშვებს.

4.4.4.5. უსაფრთხოების ზონა (საფეტი-ლაინ) – პიტ-ლაინის ნაწილი, შეზღუდულია თეთრი საღებავებით, რომელიც გამოყოფს სამუშაო ზონას და მოძრაობის ზონას უსაფრთხოების მიზნით.

4.4.4.6. აჩქარებისა და სიჩქარის სენელების ზონა განიხილება პიტ-ლეინის შემადგენელ ნაწილად.

4.4.4.7.ვარჯიშებისა და შეჯიბრებების დროს ტრსიდან პიტ-ლეინზე გასვლა ნებადართულია მხოლოდ სიჩქარის სენელების ზონიდან. აღნიშნულის ნებისმიერი სახით დარღვევა იწვევს მძღოლის შეჯიბრებიდან დისკვალიფიკაციას.

4.4.4.8. მძღოლს რომელსაც გააჩნია სურვილი გავიდეს პი-ლეინზე დროულად უნდა აცნობოს აღნიშნულის შესახებ სხვა მძღოლებსაც მისთვის ხელსაყრელი სიგნალიზაციით მაგ. ხელის აწევით, მასზეა პასუხისმგებლობა უსაფრთხო გადაადგილების შესახებაც.

4.4.4.9. აჩქარების ზონაში პიტ-ლეინიდან გასვლის შემდეგ აკრძალულია ავტომობილის ნებისმიერი ნაწილით გადაკვეთილი იქნას აჩქარებისა და ტრასის ნაწილზე გამავალი გამყოფი ზოლი.

4.4.4.10. ფორს-მაჟორული შემთხვევის გარდა – აკრძალულია ნებისმიერი მიმართულებით გადაიკვეთოს სენელების ზონისა და ტრასის ზედაპირის ნაწილი.

4.4.4.11. აკრძალულია მოძრაობა პიტ-ლეინზე უკუ სვლით.

4.4.4.12. სამუშაო ზონიდან გასვლის შემდგომ, მძღოლი დარწმუნებული უნდა იყოს რომ ის ხელს არ შეუშლის სხვა მძღოლებსაც, რომლებიც მოძრაობენ პიტ-ლეინზე.იმ შემთხვევებში როდესაც პიტ-ლეინზე გასვლისას ტრასაზე მოძრაობს და გასვლის ზონას უახლოვდება სხვა ავტომანქანა, მსაჯი რომელიც დგას გასასვლელთან ანიშნებს ტრასაზე გამავალი მანქანის ნძღოლს უძრავი ცისფერი ალმით. ნებისმიერ შემთხვევაში შეჯახებაზე პასუხისმგებლობას რეზულობს მძღოლი, რომელიც გადის პიტ-ლეინიდან.

4.4.4.13. არც ერთ ავტომობილს , გარდა შეჯიბრში მონაწილე ავტომობილებისა არ გააჩნია უფლება იდგეს პიტ-ლეინზე.

4.4.4.14. ორგანიზატორმა უნდა მიიროს ზომები, რომელიც შეზღუდავს პიტ-ლეინზე უცხო პირების არსებობას.

4.4.5. სამუშაო ზონაში ნებისმიერ მონაკვეთზე უნდა იდგეს ცეცხლმაქრი არანაკლებ 3 კგ-ისა

4.4.6. ორგანიზატორი განსაზღვრავს ყველა მონაწილის ადგილმდებარეობას როგორც პადდოკში ასევე სამუშაო ზონაში.